

„დამტკიცებულია”

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ,  
ოქმი № 2, 18.05 2020 წ. დადგენილება №14

ცვლილება განხორციელდა:

„დამტკიცებულია”

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ,  
ოქმი № 9, 1.10 2021 წ. დადგენილება №39

**სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სჯსუ) პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულება**

### **თავი I. ზოგადი დებულებანი**

#### **მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო**

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) აკადემიური და სტუდენტურ სივრცეში აკადემიური კეთისლსინდისიერების პრინციპებს და არეგულირებს პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების საკითხებს.

2. ეს დებულება შედგება ოთხი თავისაგან:

#### **თავი I: ზოგადი დებულებანი;**

**თავი II:** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური პატიოსნების პოლიტიკის პრინციპები;

**თავი III:** სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა აკადემიური პატიოსნების პოლიტიკის პრინციპები;

**თავი IV:** პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების კომისიის საქმიანობის წესი.

3. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებზე.

4. უნივერსიტეტი იცავს ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს და აღნიშნული დებულებით დადგენილი მექანიზმებით მიმართულია გამოავლიონოს სხვისი შრომის შედეგის ნებისმიერი ფორმით მითვისება.

5. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა მოვალეობაა, პატივი სცეს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას, დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერება და გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის პრესტიჟს.

6. პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

#### **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- პლაგიატი** - სხვისი ინტელექტუალური შრომის (მთელი, ან ნაწილი) შედეგის, ტექსტის, იდეის, არგუმენტების განზრახ, ან უნებლიერ საკუთრად წარმოჩენა/მითვისება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე. პლაგიატი არის სერიოზული აკადემიური თაღლითობის ფორმა და ინტელექტუალური არაკეთილსიდისიერება, ქურდობა, რომელიც არა მარტო არაეთიკურია, არამედ ამორალურია და სერიოზული აკადემიური დანაშაულია.

- პლაგიატიდ მიჩნეულია:
- ა) სხვისი ნამუშევრის (იქნება ეს იდეა, ნაწერი, გამოსახულება, გრაფიკი, თუ მონაცემი) მითვისება ავტორის მითითების გარეშე; წყაროდან ზუსტად გადმოწერა ბრჭყალებში ჩასმის, ან სხვა ტიპის მითითების გარეშე, რომელიც ციტირებულ ტექსტს ნათლად გამოყოფს ავტორის ტექსტისგან. მითვისება შეიძლება შეეხოს რამდენიმე ფრაზას, ან მთლიან ნაშრომს. პლაგიატი, როგორც აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმა, ნაშრომის ორიგინალურობასთან დაკავშირებით არასწორ/ცრუ წარმოდგენას ქმნის.
- ბ) სხვისი მოსაზრების პერიფრაზი ავტორის ერთმნიშვნელოვანი მითითების გარეშე. პერიფრაზის შემთხვევაში ავტორის სიტყვების უმნიშვნელო ცვლილება, რაც ავტორობის საკითხს ბუნდოვანს ხდის, არ ჩანს, ვის იდეას ეხმაურება ავტორი და როდის. პერეფრაზის შემთხვევაში უნდა მიეთითოს და გაირკვეს თუ სად არის სხვისი და სად ავტორის საკუთარი წვლილი.
- გ) სხვადასხვა წყაროდან ამოღებული მოსაზრებების გაერთიანება ცალკეული ავტორების მითითების გარეშე (ზოგიერთ შემთხვევაში ნაშრომის ბოლოს მითითებულია ესა თუ ის მეცნიერი/ავტორი, მაგრამ ტექსტის კითხვისას შეუძლებელია გარჩევა, სად სრულდება ნაწერის ავტორის ორიგინალური მოსაზრება და სად არის ჩასმული ციტატები);
- დ) თვითპლაგიატი(საკუთარი მოსაზრებების გამეორება მითითების გარეშე);
- ე) ნაშრომის / პროგრამული უზრუნველყოფის ყიდვა(ჩითინ კონტრაქტი)
- ვ) უცხოენოვანი წყაროდან თარგმანი მითითების გარშე;

- **თანხვედრა** - სხვისი ნამუშევრის (იქნება ეს იდეა, ნაწერი, გამოსახულება, გრაფიკი, თუ მონაცემი) დამოწმება ავტორის მითითებით, წყაროდან ზუსტად გადმოწერა ბრჭყალებში ან სხვა ტიპის დამოწმება.

## თავი II

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური, მოწვეული პერსონალის აკადემიური პატიოსნების პოლიტიკის პრინციპები**

### **მუხლი 3.ზოგადი დებულებები**

1. პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულების ეს ნაწილი არეგულირებს უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და სანქცირების საკითხებს.
2. პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულების ამ ნაწილის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალზე, მასწავლებლებზე.
3. დოკუმენტი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის 52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების, უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტის ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების, სხვა სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

### **მუხლი 4. პლაგიატის პრევენცია**

1. პლაგიატის პრევენციისათვის გასატარებელი ღონისძიებები:

- ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლის, ინფორმირებულობის გაზრდა (შეხვედრების ჩატარება, პროფესორ-მასწავლებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება, ტრენინგების შეთავაზება, ინსტრუქციების, გზამკვლევების შეთავაზება და ა.შ. )
- ბ) სასწავლო და კვლევითი მიზნით შემუშავებული ნაშრომების საჯაროობის გაზრდა; სამეცნიერო ნაშრომების ელ. ბაზის შექმნა.
- გ) უნივერსიტეტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარებისას პლაგიატის საკითხის გათვალისწინება, რაც გულისხმობს შემთხვევითი პრინციპით შერჩეული ნაშრომის პლაგიატის ამომცნობი პროგრამის საშუალებით შემოწმებას.

#### **მუხლი 5. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები**

1. პლაგიატის გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტში იქმნება პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მუდმივოქმედი კომისია (შემდგომში - პლაგიატის კომისია), რომლის შემადგენლობაში შედიან:
  - ა) რექტორის მოადგილე/მოადგილეები (სასწავლო და სამეცნიერო დარგში);
  - ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
  - გ) იურისტი;
  - დ) ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები;
  - ე) ტექნიკური ადმინისტრატორი;
  - ვ) შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი, რომელსაც იწვევს კომისია. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გარედან მოწვეულ იქნეს ექსპერტი.
2. პლაგიატის კომისია ამოწმებს სამეცნიერო ნაშრომებს მათ შორის პლაგიატის ამომცნობი პროგრამების საშუალებით.
3. პლაგიატის კომისიის ძირითად შემადგენლობას (გარდა შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალისა, რომელსაც იწვევს პლაგიატის კომისია) ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

#### **მუხლი 6. პლაგიატზე რეაგირება და სანქციები**

1. პლაგიატის, დადასტურების თაობაზე პლაგიატის კომისიის დასკვნის შემთხვევაში:
  - ა) დასაქმებული თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან/უწყდება შრომითი ხელშეკრულება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
  - ბ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლის, საკვალიფიკაციო ნაშრომში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში პლაგიატის კომისიის დასკვნა ეგზავნება შესაბამის სადისერტაციო/ ფაკულტეტის საბჭოს შემდგომი რეაგირებისთვის;

#### **მუხლი 7. დასკვნითი დებულებები**

1. შრომით ურთიერთობებში ყოფნის პერიოდში აკადემიური თანამდებობის პირის მიერ პლაგიატის ფაქტზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა და სამომავლოდ შეიძლება გახდეს ხელახალი დასაქმების ხელშემშლელი გარემოება;
2. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული აღნიშნული დებულებით, რეგულირდება უფლებამოსილების ფარგლებში ფაკულტეტის ან/და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სჯსუ)  
სტუდენტთა აკადემიური პატიოსნების პოლიტიკის პრინციპები**

**მუხლი 8.ზოგადი დებულებები**

1. უნივერსიტეტის სტუდენტთა აკადემიური პატიოსნების პოლიტიკის პრინციპები შემუშავებულია საერთაშორისო საგრანტო პროექტის (Erasmus+ -INTEGRITY – ACADEMIC INTEGRITY FOR QUALITY TEACHING AND LEARNING IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS IN GEORGIA (სწავლისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად აკადემიური ინტეგრაცია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში) Project number: 585841 EPP-1-2017-1-GE-EPPKA2-CBHE-SP) ფარგლებში. დოკუმენტის შემუშავებას საფუძვლად დაედო დუბლინის (ირლანდია), ვენის (ავსტრია), უფსალას (შვედეთი) როეპემპტონის (ინგლისი) უნივერსიტეტების გამოცდილება და მათი ნორმატიული დოკუმენტები.

დოკუმენტი ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 იანვრის ბრძანება №07/ნ -ს (31.01.2018, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტი 2.3-ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა); „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის 52/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესდებას, სჯსუ-ის ეთიკის კოდექსს.

2. პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულების ეს ნაწილი აღწერს უნივერსიტეტში სტუდენტთა პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციის და რეაგირების წესებს.
3. უნივერსიტეტი ამკვიდრებს სწავლის, სწავლებისა და კვლევის მაღალ სტანდარტს, განუხრელად იცავს აკადემიური პატიოსნების პრინციპებს. უნივერსიტეტის ავტორიზები დამოკიდებულია მისი აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აკადემიურ პატიოსნებაზე. აქედან გამომდინარე, სტუდენტები ვალდებული არიან წარმოდგენილ ნაშრომებში დაიცვან შემდეგი წინაპირობა:
  - ა) მიღებული ცოდნის საფუძველზე გამოავლინონ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი;
  - ბ) როგორც მთლიან ნაშრომში, ისე ცალკეულ ნაწილებში მკაფიოდ იყოს მითითებული გამოყენებული წყაროები.
4. პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულების ამ ნაწილის მიზანია უნივერსიტეტში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აკადემიური კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტების დაწესება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება.

**მუხლი 9. მოქმედების სფერო**

1. დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტში რეგისტრირებულ ყველა სტუდენტზე.

**მუხლი 10. პოლიტიკის ფორმულირება**

**1. აკადემიური პატიოსნება:**

აკადემიური საზოგადოება პატიოსცემითაა გამსჭვალული იმ ავტორთა მიმართ, რომელთა ნაშრომები მაღალი პასუხისმგებლობით, ორიგინალურობით და სანდო წყაროებზე დაყრდნობითაა შექმნილი. მსგავსი კვლევები ქმნის ახალ ცოდნას და ორიენტირებულია განვითარებაზე.

**მუხლი 11. პლაგიატის პრევენციისათვის გასატარებელი ღონისძიებები**

1. აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლისა და სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა, შეხვედრების ჩატარება, პროფესორ-მასწავლებლების მიერ სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება, სილაბუსებში შეფასების წესში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სანქციების ჩატერა, ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსება, საინფორმაციო ბუკლეტების, ტრიპლეტების, გზამკვლევების მომზადება და ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სტუდენტებისთვის მიწოდება.
2. სასწავლო და კვლევითი მიზნით შემუშავებული ნაშრომების საჯაროობის გაზრდა; სტუდენტთა წერითი ნამუშევრების, საკვალიფიკაციო ნაშრომების (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოკტორო) ელ. ბაზის შექმნა;
3. სასწავლო კურსების „აკადემიური წერა“, „სამეცნიერო ნაშრომის საბაზისო წერის საფუძვლები“ დახვეწა და სხვა ანალოგიური კურსების შემუშავება და განხორციელება;
4. წერითი დავალებების პლაგიატზე შემოწმება და სტუდენტის ნაშრომზე უკუკავშირი.
5. სტუდენტური სერვისების შეთავაზება: აკადემიური წერის ცალკეულ მოდულებში, საბიბლიოთეკო სერვისების გამოყენებაზე, TURNITIN-ში ნაშრომების განთავსებასა და შემოწმებაზე;
6. PR კამპანია.

## **მუხლი 12. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები, რეაგირება და სანქციები**

1. სტუდენტთა ნამუშევრები მოწმდება Moodle პროგრამაში ინტეგრირებული ელექტრონული პროგრამის Turnitin-ის მეშვეობით.
2. სასწავლო კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალების შემთხვევაში ლექტორი (ნაშრომის ხელმძღვანელი, ნაშრომის შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირი) სტუდენტის მიერ ატვირთულ ნაშრომს (რეფერატი, ესსე, პროექტი, პრაქტიკის ანგარიში და სხვა წერითი დავალება) ამოწმებს Turnitin-ის საშუალებით, აძლევს რეკომენდაციებს და მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში უბრუნებს სტუდენტს გამოსასწორებლად.
- 2.1. სტუდენტების წერით დავალებებში პლაგიატზე ეჭვის მიტანის ან დადასტურების შემთხვევაში:
  - ა) თუ სტუდენტისთვის ეს არის პირველი შემთხვევა, პედაგოგი მას უწევს კონსულტაციას და ნაშრომის ხელახლა წარმოდგენისთვის განუსაზღვრავს მაქსიმუმ ორკვირიან ვადას.
  - ბ) თუ სტუდენტისთვის ეს არის მეორე შემთხვევა, ლექტორის მიერ მიცემული ვადის ფარგლებში, განმეორებით წარდგენილ ნაშრომში არ არის გათვალისწინებული ლექტორის ყველა შენიშვნა, მაშინ შესაბამისი კომპონენტი არ ფასდება და ინფორმაცია ლექტორის მიერ მიეწოდება ფაკულტეტის საბჭოს.
  - გ) პლაგიატის განმეორების და/ან რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში დადასტურების შემთხვევაში ნაშრომის ავტორის მიმართ რეაგირების მიზნით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფაკულტეტის საბჭოს მიერ (დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით) შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ზომები:
    - გაფრთხილების მიცემა;
    - მონიტორინგის დაწესება სტუდენტის შემდგომ საქმიანობაზე პლაგიატთან დაკავშირებით;

### **3. საკვალიფიკაციო ნაშრომის შემთხვევაში:**

- 3.1. **სადოკტორო დისერტაცია** - სამეცნიერო ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში მისი შუამდგომლობით სადისერტაციო ნაშრომი და სადისერტაციო მაცნე წინასწარი განხილვისთვის გადაეცემა პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი სადისერტაციო ნაშრომს გადასცემს პლაგიატის კომისიას.
- 3.2. თანხვედრის მაჩვენებლის 25% -ზე მეტის არსებობის ან პლაგიატზე ეჭვის შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზ(ებ)ის გასწორების რეკომენდაციით უბრუნდება ავტორს არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადით. სტუდენტს ვადა განესაზღვრება მხოლოდ მაშინ, თუ

პლაგიატის კომისია აღმოჩენილ დარღვევას მირითადად ტექნიკური ხასიათის შეცდომის კვალიფიკაციას მისცემს და მის აღმოფხვრას მიიჩნევს შესაძლებლად.

3.3. განსაზღულ ვადაში დოქტორანტი ხელახლა წარმოადგენს ნაშრომს, რომელსაც ამოწმებს პლაგიატის კომისია შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაყრდნობით.

პლაგიატის კომისიას ნაშრომის ხელახლა განხილვისთვის ეძლევა 5 კალენდარული დღე.

3.4. პლაგიატის, ან თანხვედრის მაჩვენებლის 25% -ზე მეტის განმეორებით დადასტურების შემთხვევაში კომისია წერს დასკვნას, რომლის საფუძველზეც სადისერტაციო ნაშრომს არ მიეცემა მსვლელობა, ხოლო შესაბამისი რეაგირება ხდება და გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური ნორმების, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

3.5. პლაგიატობის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, შუამდგომლობით მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

**4. სამაგისტრო ნაშრომი** - სტუდენტი დასრულებული სამაგისტრო ნაშრომის (სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად) ელექტრონულ ვერსიას ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად დაცვამდე არაუგვიანეს ხუთი კვირისა წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გადასცემს მას პლაგიატის კომისიას.

4.1. თანხვედრის მაჩვენებლის 25% -ზე მეტის არსებობის ან პლაგიატზე ეჭვის შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის გასწორების რეკომენდაციით უბრუნდება ავტორს არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადით. სტუდენტს ვადა განესაზღვრება მხოლოდ მაშინ, თუ პლაგიატის კომისია აღმოჩენილ დარღვევას მირითადად ტექნიკური ხასიათის შეცდომის კვალიფიკაციას მისცემს და მის აღმოფხვრას მიიჩნევს შესაძლებლად.

4.2. განსაზღვრულ ვადაში მაგისტრანტი ხელახლა წარმოადგენს ნაშრომს, რომელსაც ამოწმებს პლაგიატის კომისია შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაყრდნობით.

პლაგიატის კომისიას ნაშრომის ხელახლა განხილვისთვის ეძლევა 5 კალენდარული დღე.

4.3. პლაგიატის ან თანხვედრის მაჩვენებლის 25% -ზე მეტის განმეორებით დადასტურების შემთხვევაში კომისია წერს დასკვნას, რომლის საფუძველზეც სამაგისტრო ნაშრომს არ მიეცემა მსვლელობა, ხოლო შესაბამისი რეაგირება ხდება და გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური ნორმების შესაბამისად.

4.4 შემთხვევის შესწავლის და მაგისტრანტის მუშაობასთან დაკავშირებული ისტორიის გაცნობის შედეგად ფაკულტეტის საბჭომ შეიძლება მიიღოს ორი სახის გადაწყვეტილება:

- მაგისტრანტს მისცეს დამატებითი გონივრული ვადა ნაშრომის გამოსასწორებლად;
- მაგისტრანტის ნაშრომი ცნოს დისკვალიფიცირებულად, რის შედეგადაც მას მოუწევს ახალი ნაშრომის მომზადება.

**5. საბაკალავრო ნაშრომი** - სტუდენტი დასრულებული საბაკალავრო ნაშრომის (საბაკალავრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად) ელექტრონულ ვერსიას ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად დაცვამდე არაუგვიანეს ხუთი კვირით ადრე წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გადასცემს მას პლაგიატის კომისიას.

5.1. თანხვედრის მაჩვენებლის 25% -ზე მეტის არსებობის ან პლაგიატზე ეჭვის შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის გასწორების რეკომენდაციით უბრუნდება ავტორს არაუმეტეს 15 კალენდარული დღისთ. სტუდენტს ვადა განესაზღვრება მხოლოდ მაშინ, თუ კომისია აღმოჩენილ დარღვევას მირითადად ტექნიკური ხასიათის შეცდომის კვალიფიკაციას მისცემს და მის აღმოფხვრას მიიჩნევს შესაძლებლად.

5.2. განსაზღვრულ ვადაში სტუდენტი ხელახლა წარმოადგენს ნაშრომს, რომელსაც ამოწმებს პლაგიატის კომისია შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაყრდნობით.

პლაგიატის კომისიას ნაშრომის ხელახლა განხილვისთვის ეძლევა 5 კალენდარული დღე.

5.3. პლაგიატის, ან თანხვედრის მაჩვენებლის 25% -ზე მეტის განმეორებით დადასტურების შემთხვევაში კომისია წერს დასკვნას, რომლის საფუძველზეც საბაკალავრო ნაშრომს არ მიეცემა მსვლელობა, ხოლო შესაბამისი რეაგირება ხდება და გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური ნორმების შესაბამისად.

5.4. შემთხვევის შესწავლის და ბაკალავრის მუშაობასთან დაკავშირებული ისტორიის გაცნობის შედეგად ფაკულტეტის საბჭომ შეიძლება მიიღოს ორი სახის გადაწყვეტილება:

- სტუდენტს მისცეს დამატებითი გონივრული ვადა ნაშრომის გამოსასწორებლად;
- სტუდენტის ნაშრომი ცნოს დისკვალიფიცირებულად, რის შედეგადაც მას მოუწევს ახალი ნაშრომის მომზადება.

#### **მუხლი 13. გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)**

1. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება პლაგიატის კომისიის და/ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას, უფლება აქვს დასკვნის გაცნობიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვოს საკითხის აპელაცია;

2. სააპელაციო განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს გასაჩივრების საგანი და არგუმენტები, ზოგადი ხასიათის სააპელაციო განცხადი არ განიხილება.

3. უნივერსიტეტის რექტორი სააპელაციო განცხადის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში ქმნის დროებით სააპელაციო კომისიას დარგის/მიმართულების სპეციალისტის გათვალისწინებით. სააპელაციო კომისია შეიძლება დაკომპლექტდეს უნივერსიტეტის გარედან მოწვეული წევრებისაგან;

4. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

#### **თავი IV**

**პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების კომისიის (შემდგომში - პლაგიატის კომისია) საქმიანობის წესი**

#### **მუხლი 14. ზოგადი დებულებები**

1. ეს თავი განსაზღვრავს უნივერსიტეტში პლაგიატის კომისიის საქმიანობის პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს, უფლებამოსილებას და გადაწყვეტილების მიღების პროცედურას.

#### **მუხლი 15. პლაგიატის კომისიის მიზანი და ამოცანები:**

1. პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების დებულების შესაბამისად შეისწავლოს:

ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების ნაშრომები და წარმოადგინოს დასაბუთებული დასკვნა.

ბ) სტუდენტთა საბაკალვრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნამუშევრები დაცვამდე და წარმოადგინოს დასაბუთებული დასკვნა.

2. პლაგიატის არსებობა/არარსებობის საკითხი განიხილება, მიუხედავად იმ გარემოებისა, თუ შესაძლო დარღვევას-პლაგიატს სად და როდის ჰქონდა ადგილი.

#### **მუხლი 16. პლაგიატის კომისიის მუშაობის პრინციპები:**

1. პლაგიატის კომისია ხელმძღვანლობს შემდეგი პრინციპებით:

- ა) კანონიერება;
- ბ) სამართლიანობა;
- გ) კეთილსინდისიერება;
- დ) კონფიდენციალურობა ( კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით);
- ე) ობიექტურობა;
- ვ) მიუკერძოებლობა.

**2. პლაგიატის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას:**

ა) კომისიის მიერ შემუშავებული წლიური გრაფიკის საფუძველზე. წლიური გრაფიკის შედგენის წესსა და პრიორიტეტებს შეიმუშავებს კომისია წლის დასაწყისში.

ბ) უნივერსიტეტის კანცელარის გზით შემოსული განცხადების საფუძველზე;

3. პლაგიატის კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავის პირველ სხდომაზე. კომისიის პირველ სხდომას უძღვება - თავმჯდომარეობს უხუცესი წევრი, რომელიც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს კომისიის მიერ პირველ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებით.

4. პლაგიატის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას ელექტრონული პლატფორმა MOODLE პროგრამაში დისტანციურ რეჟიმში.

5. პლაგიატის კომისია თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

**6. პლაგიატის კომისიის თავმჯდომარეს ევალება:**

ა) კომისიის ხელმძღვანელობა, მისი მუშაობის ორგანიზება დადგენილი პროცედურებისა და წინამდებარე წესის საფუძველზე;

ბ) კომისიის სხდომების დანიშვნა, მათი ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა;

გ) სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი;

დ) კომისიის სხდომების წარმართვა;

ე) კომისიის დასკვნის წარდგენა საჭიროებისამებრ;

ვ) კომისიის სხდომაზე პროგრამის ხელმძღვანელის ან/და საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის მოწვევა (საჭიროების შემთხვევაში).

**7. კომისიის მდივანს ევალება:**

ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;

ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;

გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება;

დ) კომისიის თავმჯდომარის იმ დავალებების შესრულება, რომელიც კომისიის მუშაობასთანაა დაკავშირებული.

**8. პლაგიატის კომისიის წევრს ევალება:**

ა) დაესწროს კომისიის სხდომებს, მიიღოს მონაწილეობა მის მუშაობაში; არასაპატიო მიზეზით კომისიის მუშაობაში უარის თქმა იწვევს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას;

ბ) საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს კენჭისყრითა და ხელმოწერით (საჭიროების მიხედვით);

გ) თვითაცილების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში იმოქმედოს კანონშესაბამისად.

დ) დაიცვას საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმები და უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისკიპლინური პასუხისმგებლობის ნორმები.

**მუხლი 17. კომისიის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება;

- ბ) პირთან ადმინისტრაციულ/აკადემიურ თანამდებობაზე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;
- გ) არასაპატიო მიზეზით კომისიის მუშაობაში უარის თქმა;
- დ) საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა.

#### **მუხლი 18. პლაგიატის კომისიის მუშაობის ფორმატი**

1. კომისიის სხდომები დახურულია. კომისიის საქმიანობა ფორმდება კომისიის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის მომდევნო სხდომის დღის წესრიგს ადგენენ თავმჯდომარე და მდივანი, რომელიც ეცნობება კომისიის წევრებს, რომლებსაც უფლება აქვთ დღის წესრიგში შეიტანონ ცვლილება ან/და დამატება სხდომამდე არაუგვიანეს 1 დღით ადრე. კომისიის სხდომა ინიშნება განცხადების შემოსვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დასკვნის ან რეკომენდაციის სახით. კომისიის მიერ მიღებულ დასკვნას ხელს აწერს პლაგიატის კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ყველა წევრი, რეკომენდაციას ხელს აწერს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარე.

2. პლაგიატის კომისია ვალდებულია, 5 კალენარული დღის ვადაში, შეადგინოს რეკომენდაცია ან დასკვნა (დანართი 2).

3. რეკომენდაციაში აისახება:

- ა) ინფორმაცია იმ პირის შესახებ ვის მიმართაც ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება;
- ბ) ინფორმაცია შესწავლილი მასალის შესახებ;
- გ) შესწავლის მიზნით განხორციელებული პროცედურები, ხერხები და მეთოდები;
- დ) გასატარებელი ღონისძიებები;
- ე) რეკომენდაციის შესასრულებელი ვადა.

4. დასკვნაში აისახება:

- ა) ინფორმაცია იმ პირის შესახებ ვის მიმართაც ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება;
- ბ) ინფორმაცია შესწავლილი მასალის შესახებ;
- გ) შესწავლის მიზნით განხორციელებული პროცედურები, ხერხები და მეთოდები;
- დ) პლაგიატის არსებობის ან არარსებობის დასაბუთება;
- ე) დასკვნითი ნაწილი.
- ვ) შედგენილი დასკვნის დასკვნით ნაწილში პლაგიატის კომისია ვალდებულია, პირდაპირ მიუთითოს და დაასაბუთოს პლაგიატის არსებობა ან არარსებობის შესახებ.

5. პლაგიატის კომისიის დასკვნას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, რომლმაც მხარი დაუჭირა მიღებულ გადაწყვეტილებას. კომისიის განსხვავებული აზრის მქონე წევრი, ვალდებულია, განსხვავებული აზრი დასკვნის შედგენიდან 2 დღის ვადაში კომისიას წარუდგინოს წერილობით, რომელიც დაერთვება კომისიის დასკვნას.

6. კომისიის დასკვნა იგზავნება საჭიროებისამებრ.

7. კომისიის საქმის წარმოების ყველა მასალა ინახება კომისიის მდივანთან საამისოდ გამოყოფილ უსაფრთხო ადგილას.

8. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, დარეგულირდება კომისიის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად.

#### **მუხლი 19. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №1

**ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევაზე**

მე \_\_\_\_\_ პ/ნ \_\_\_\_\_ გავეცანი უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებს და ვაცნობიერებ, რომ ჩემს მიერ, მათი გაუთვალისწინებლობა შესაძლოა გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. აღნიშნულს ვადასტურებ ხელმოწერით.

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

დანართი 2

**პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და რეაგირების კომისიის  
დასკვნა ნაშრომის შესახებ**

მიმდინარე წლის ..... --<sup>00</sup> სთ-ზე ელექტრონული პლატფორმა MOODLE პროგრამაში ინტეგრირებული ელექტრონული პროგრამის Turnitin-ის მეშვეობით ჩატარდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პლაგიატის დამდგენი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა:

საკვალიფიკაციო თემა:

ავტორი:

თემის ხელმძღვანელი:

ფაკულტეტი:

დასკვნა:

- პლაგიატი დადასტურდა;
- პლაგიატი არ დადასტურდა.

**გადაწყვეტილება:**

**თარიღი**

პლაგიატის აღმოჩენის Moodle პროგრამაში ინტეგრირებული ელექტრონული პროგრამის Turnitin-ის მეშვეობით ნაშრომების შემოწმების შესახებ გადაწყვეტილებას ვადასტურებთ:

პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების  
კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი მერაბ ბერიძე

პლაგიატის პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების კომისიის წევრები:  
პროფესორი ნინო მილაშვილი  
პროფესორი ნიკოლოზ ახალგაცი  
ასოცირებული პროფესორი ნანა ჯლარკავა  
ასოცირებული პროფესორი მაია ქუქჩიშვილი  
ასოცირებული პროფესორი ასმათ ევსაია  
ასოცირებული პროფესორი ლელა წითაშვილი  
იურისტი თამარ ხოსიტაშვილი

**ცვლილება შეტანილია:**

აკადემიური საბჭოს 2021 წლის 01 ოქტომბრის N39 დადგენილება, ოქმი N9.